ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №100-ა

27 ივლისი 2017 წელი

ქ. თბილისი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესთა და კონფლიქტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველო „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში გაფორმდა 2016 წლის 01 სექტემბრის N126 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის “სპექტრი“ ლაბორატორიებით აღჭურვას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, პერსონალის გადამზადებას, პროგრამების კურსდამთავრებულთათვის BTEG სერთიფიკატების გაცემას. ამ პროგრამის ფარგლებში მომუშავე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა კოლეჯის სტუდენტთა ინტერესთა და კონფლიქტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, “პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის “სპექტრი” წესდების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი“ პროფესიული სტუდენტთა ინტერესთა და კონფლიქტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი №1 დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება გამოიკრას კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს კოლეჯის ვებ-გვერდზე.
3. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი''
დირექტორის 2017 წლის 27 ივლისი №100-ბ
ბრძანების დანართი №1

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" პროფესიული სტუდენტთა ინტერესთა და კონფლიქტის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი

მუხლი 1. პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი" (შემდგომში - კოლეჯი) ქცევის წესები ეყრდნობა სამართლიანობის, ხალხის პატივისცემისა და პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპებს და გულისხმობს:

- საქართველოს კონსტუტუციით გარანტირებული და საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების აღიარებას და დაცვას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულებას;
- ნებისმიერი სახით დისკრიმინაციის დაუშვებლობის აღიარებას;
- ყველა სტუდენტისთვის თავისუფალ გარემოში, თანასწორ პირობებში განათლების მიღების უფლების აღიარებას;
- პიროვნების კანონიერი ინტერესების, ინტელექტუალურ საკუთრების, გამოგონებების და საავტორო უფლებების დაცვას;

სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

- იყოს კანონმორჩილი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი ერთგული, მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნება;
- დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- ჰქონდეს პიროვნული, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობა, ვალდებულებების შესრულების და ეთიკური ნორმების დაცვის მოტივაცია;
- ჰქონდეს საკუთარი და სხვისი კანონიერი ინტერესევის, უფლებების და თავისუფლებების დაცვის, ღირსებისა და უფლებების აღიარებისა და პატივისცემის მოტივაცია;
- დაემორჩილოს კოლეჯის მარეგულირებელ წესებს;
- პროფესიული სტუდენტი ვალდებულია არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც კოლეჯის მიერ მიჩნევა ქცევის წესების დარღვევად და იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

2. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია კოლეჯში დასაქმებულებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად არიდების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტი

1. კოლეჯში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და კოლეჯის შინაგანაწესით.

2. კოლეჯში პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის, ამორიცხვისა და მობილობის წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

1. პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

გ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

დ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან კოლეჯში დასაქმებულის ან/და პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერი ქმედება;

ე) კოლეჯის არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვ) თუ პროფესიული სტუდენტი სწავლასთან ერთად მუშაობს პროფილით, მას სამუშაო საათები ეთვლება საწარმოო პრაქტიკად (თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს კურუნკულუმით დადგენილ საწარმოო პრაქტიკის საათებს) და მისი განაწილება აღარ მოხდება სხვა ობიექტზე;

ზ) საწარმოო პრაქტიკაზე დაიშვება სტუდენტი, რომელმაც პროფესიული პროგრამის თეორიული და სასწავლო პრაქტიკის საგნებში/მოდულებში შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამური ქულის გათვალისწინებით მიიღო დადებითი შეფასება ან სასწავლო პრაქტიკის გავლის წინაპირობად განსაზღვრულ ყველა მოდულში დაუდასტურდა შესაბამისი სწავლის შედეგები (ცოდნა და უნარების ფლობა), სრულად აითვისა შესაბამისი მოდულებით განსაზღვრული კრედიტები.

თ) დასკვნით შეფასებაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამური მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს კომპონენტის დაძლევისათვის გათვალისწინებული 51 ქულა და მეტი.

ი) პროფესიულ სტუდენტს რომელმაც არ გაიარა კოლეჯის მიერ მისთვის გამოყოფილ ადგილზე საწარმოო პრაქტიკა, მისი სურვილის შემთხვევაში (რაც დაფიქსირებული უნდა იქნას წერილობით) ეძლევა საშუალება გაიაროს საწარმოო პრაქტიკა მის მიერ მოძიებულ ადგილზე, ამგვარი საჭიროების შემთხვავაში სტუდენტმა თავად უნდა უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკისა და შესაბამისი დასკვნითი გამოცდისათვის გასაწევი ხარჯების დაფარვა.

კ) პროფესიულ სტუდენტი, რომელიც ვერ/არ გამოცხადდება დასკვნით გამოცდებზე, ან ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას, ან მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების (ცოდნისა და უნარების) დადასტურებას უფლება აქვს გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე, ან შეფასებაზე.

ლ) დამატებითი გამოცდა/შეფასება დაინიშნება ერთჯერადად, პირველი დასკვნითი გამოცდის/შეფასების ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღეში და სტუდენტს დამატებითი გამოცდების კვირეულის (1 კვირა) ფარგლებში უფლება ექნება ჩააბაროს დარჩენილი გამოცდ(ებ)ა.

2. შუალედური შეფასების გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს (ერთჯერადად) აქვს უფლება, კოლეჯის შესაბამის მასწავლებელთან შეთანხმებით, გამოცხადებიდან უმოკლეს დროში მოითხოვოს შუალედური გამოცდის განმეორებით დანიშვნა.

3. სტუდენტს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა შემდგომ მოდულზე თუ მას გავლილი არ აქვს წინა მოდული და დადასტურებული არ აქვს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი, მაგრამ წინა მოდული არ წარმოადგენს შემდგომი მოდულის გავლის წინაპირობას.

4. სტუდენტს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა შემდგომ მოდულზე თუ მას წინა მოდულში არ აქვს დადასტურებული მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი, მაგრამ გასავლელი მოდულის წინაპირობა არ არის იმ მოდულის გავლა, რომელშიც არ დაუდასტურდა სწავლის შედეგ(ებ)ი. ასეთ შემთხვევაში სტუდენტს, მასწავლებელთან შეთანხმებით ერთჯერადად აქვს უფლება ხელახლა მოახდინოს იმ სწავლის შედეგ(ებ)ის დადასტურება, რომელიც არ დაუდასტურდა დაგეგმილი შეფასებების დროს, თუ ეს ტექნიკური თვალსაზრისით არ ეწინააღმდეგება დაგეგმილი შეფასების მიმართულების განხორციელებას (პროცესზე დაკვირვება).

5. სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შემთხვევაში ან სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის განმეორებითი შეფასებისათვის შეფასება/დადასტურებისათვის საჭირო სასწავლო მასალების ხარჯებს საჭიროების შემთხვევაში აანაზღაურებს სტუდენტი.

6. განმეორებითი შეფასება/დადასტურებისათვის სასწავლო მასალის საჭიროება განისაზღვრება შესაბამისი მასწავლებლის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 4. კოლეჯის პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები

1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე არ დატოვოს აუდიტორია ლექციის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით);

ბ) არ დაანაგვიანოს სასწავლებელის შენობა და ტერიტორია, დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები;

გ) დაემორჩილოს ამ შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;

დ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას. აკრძალულია ფანჯრის რაფაზე, რადიატორზე, მერხზე ან მაგიდაზე ჯდომა, აუდიტორიის გასაღების დაუფლება ან/და თან წაღება.

ე) პატივი სცეს სხვა პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

ზ) უზრუნველყოს ლექცია-პრაქტიკულისათვის საჭირო ლიტერატურისა და სასწავლო ნივთების შეძენა (არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობელმა ან/და მეურვემ);

თ) საცხოვრებელი ადგილის ან ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

2. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს (არასრულწლოვანების შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს).

3. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას სასწავლებლის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების ან/და აუდიოპლეერების გამოყენება.

დ) აუდიტორიის შიგნით ჩაკეტვა, აუდიტორიაში საკვების მიღება ან/და სასწავლო პროცესისათვის სხვა არადამახასიათებელი ქმედება;

ე) სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით (ხმაური, სტვენა, ბანქოს და სხვა სახის თამაშები და ა.შ.);

ზ) კოლეჯის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოყვანა.

მუხლი 5. კოლეჯში ინტერესთა კონფლიქტის მართვა

კოლეჯში წარმოქმნილი დარღვევებისა და ინტერესთა კონფლიქტის ასარიდებლად სისტემატიურ მონიტორინგს ახორციელებს მისი კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის ადმინისტრაცია, დირექცია, კოლეჯის დაცვის თანამშრომლები და მასწავლებლები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ კოლეჯის შინაგანაწესით და სხვა მოქმედი წესებით კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.